საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
აჭარის მთავარი სამმართველო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT
ADJARA MAIN DIVISION

MIA 0 22 01641847

17/06/2022

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრს
ბატონ გია აბულაძეს

მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. № 37

ბატონო გია,

საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარ სამმართველოში მიღებული იქნა თქვენი, 2022 წლის 03 ივნისის N 09-02-16/304 წერილით გადმოგზავნილი სადეპუტატო კითხვა, რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 31 ივლისის N 1/356 ბრძანებით განსაზღვრულია საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს სამოქმედო ტერიტორია. რომლის შემადგენლობაში შედის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქობულეთის შემოსავლელი გზის 4კმ+700 მ-დან (აჭარისა და გურიის რეგიონების ადმინისტრაციული საზღვარი) 31 კმ+500 მ-მდე (ჩაქვი-მახინჯაურის გვირაბამდე).

გაგიმარტავთ, რომ შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარ სამმართველოში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა აღრიცხვა არ იწარმოება სამოქმედო ტერიტორიის ცალკეული მონაკვეთების მიხედვით. შესაბამისად, თქვენს მიერ მოთხოვნილი, ზემოაღნიშნულ გზაზე დაფიქსირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მოწოდება შეუძლებელია.

წარმოგიდგენთ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქობულეთის შემოსავლელი გზის 4კმ+700 მ-დან 31 კმ+500 მ-მდე მონაკვეთზე დაფიქსირებულ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებს, რასაც მოჰყვა ადამიანის გარდაცვალება ან სხეულის მძიმე დაზიანება და დაწყებული იქნა გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე:

2018 წ. 01 აგვისტოდან - შემთხვევა - 13; გარდაცვლილი -4; დაშავებული -25;
2019 წ. - შემთხვევა - 25; გარდაცვლილი -7; დაშავებული - 51;
2020 წ. - შემთხვევა -15; გარდაცვლილი -3; დაშავებული - 46;
2021 წ. - შემთხვევა -26; გარდაცვლილი -5; დაშავებული - 63;
2022 წ. 31 მაისის მდგომარეობით - შემთხვევა -9; გარდაცვლილი - 5; დაშავებული - 14;

ზემოაღნიშნულ გზაზე საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების გამომწვევი ძირითადი მიზეზებია გასწრების წესების დარღვევა და დასაშვები სიჩქარის გადაჭარბება.

6000, ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქ. №11
№11, Tbel Abuseridze St., 6000, Batumi, Georgia
ტელ./Tel.: (+995 422) 27 02 14
ელ. ფოსტა/E-mail: patrolinfo@mia.gov.ge

აღნიშნულიდან გამომდინარე, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქობულეთის შემოსავლელი გზა აღიჭურვა სექციური სიჩქარმზომი რადარებით, რამაც გარკვეული შედეგი მოიტანა. თუმცა გასწრების წესების დარღვევებს ადგილი აქვს უმეტეს შემთხვევაში დიდი სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობისას, რა დროსაც შემცირებულია ნაკადის გადაადგილების სიჩქარე. აღნიშნული კი თავის მხრივ გამოწვეულია ორივე მიმართულებაზე თითო სამოძრაო ზოლის არსებობით. სატრანსპორტო ნაკადების მართვის მიზნით, საპატრულო პოლიციის მიერ ხდება სატვირთო ავტომანქანების გაჩერება სპეციალურ ავტოსადგომებზე. საიდანაც სამოძრაოდ დაიშვებიან დღე-ღამის იმ დროს, როდესაც შემცირებულია სატრანსპორტო ნაკადი.

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქობულეთის შემოსავლელი გზის ორმხრივი მოძრაობისათვის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა სცილდება შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს კომპეტენციას. ,,საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საგზაო მოძრაობის ორგანიზების და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებს დამოუკიდებლად წყვეტენ მუნიციპალიტეტის ორგანოები, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

დაზიანებული გზის სავალი ნაწილის, საგზაო ნიშნის, პარაპეტის ან სხვა დაზიანებული საგზაო ნაგებობის აღმოჩენის შემთხვევაში, დაზიანების ოპერატიულად აღმოსაფხვრელად შესაბამის სამსახურებთან დაკავშირება ყოველდღიურად ხორციელდება მობილური კომუნიკაციის საშუალებით. ამ შემთხვევაში დრო არ იკარგება მატერიალური ფორმით წერილობითი შეტყობინების გაგზავნა-მიღებაზე და რეაგირება ხდება დროულად. შესაბამისად, ვერ მოხდება მოთხოვნილი გასული და შემოსული დოკუმენტების ასლების მოწოდება.

პატივისცემით,

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
აჭარის მთავარი სამმართველოს უფროსი,
პოლიციის პოლკოვნიკი დავით მაღრაძე